მოგესალმებით მინიაგურის მინი სამყაროში!

წარმოგიდგენთ ინსტრუქციას „ბლოკის ავტოფარეხი“

1-ეტაპი. სამშენებლო მოედნის მოწყობა- მოხსენით სახურავი ყუთს, რომლითაც მიიღეთ ჩვენი პროდუქცია და მოათავსეთ სახურავი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

2- ეტაპი. ცემენტის მასის მომზადება - თქვენს ავტოფარეხის მაკეტს მოყვება 3 მინიტომარა ცემენტი. გახსენით მხოლოდ ცემენტის 1 ტომარა, ჩაყარეთ მოსაზელ ჭურჭელში ნახევარი ტომარა ცემენტი. გაითვალისიწნეთ, რომ მოზელილი მასა არ უნდა გაგითხელდეთ, ამიტომ წყლის დასხმის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავიდან წყალი უნდა დაასხათ ძალიან ცოტა რაოდენობის და მოზელის (მორევის) პროცესში უნდა ამატოთ, როდესაც მიიღებთ ერთგვარ ბლანტ მასას ე.ი. ცემენტის მასა მზადაა გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ ცემენტის მასა გაშრება 40-50 წუთის განმავლობაში, შრობა დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე. ბლოკის (აგურის) დაშენების პროცესი ხორციელდება ჩვეულებრივი სამშენებლო წესების დაცვით, მოზელილი ცემენტის მასა უნდა დაიტანოთ ბლოკის (აგურის) ნასვრეტებიან მხარეს და მოათავსოთ ზედაპირზე. 2-3 რიგის დაშენების შემდეგ 50-60 წუთი უნდა დაელოდოთ შრობას და ამის შემდეგ გააგრძელოთ შემდეგი რიგების დაშენება. გაითვალისიწნეთ ზემოთ მოცემული დროები არ არის ცემენტის შრობის სრული დრო, ამიტომ დასრულებულ ნაგებობას გარკვეული პერიოდის (24 საათი) განმავლობაში უნდა მოეპყროთ სიფრთხილით.

3- ეტაპი. ავტოფარეხის შენების დროს დაიცავით სურათზე მოცემული ბლოკების განლაგების სქემა



პირველი რიგის დაშენების შემდეგ კარები მოათავსეთ წინა მხარეს დარჩენილ სიცარიელეში და მოცემული სურათის მიხედვით და გააგრძელეთ დარჩენილი სამი რიგის ბლოკების დალაგება

თქვენს ავტოფარეხის ნაკრებს მოყვება ორი ფანჯარა, ბოლო რიგზე მოათავსეთ ფანჯრები მოცემული სურათის მიხედვით.

ბლოკების დალაგების შემდეგ მოათავსეთ სახურავი შენობაზე, ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით

დასრულებულ შენობას უნდა ქონდეს შემდეგი სახე

გისურვებთ წარმატებას!